

ზონალურ-საათობრივი პარკირება მობილური აპლიკაციისთვის

სარჩევი

შესავალი.....	2
მომხმარებლის რეგისტრაცია.....	2
მთავარი მენიუ.....	3
ზონალურ-საათობრივი პარკირების რუკა.....	3
ბალანსის შევსება.....	4
ავტომობილის დამატება.....	5
პარკირების დაწყება.....	6
პარკირების დასრულება.....	8
გადახდების ისტორია.....	8
უფასო პარკირება საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ კვებ აპლიკაციაში.....	9

შესავალი



ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის დადგენილება N33-99 „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ და მასში განხორციელებული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის დადგენილება N42-40 ცვლილებების საფუძველზე შეიქმნა ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა.

ზონალურ-საათობრივი პარკირებით სარგებლობისათვის, საჭიროა აპლიკაციის ჩამოტვირთვა **Play Store**-დან ან/და **Appl Store**-დან მობაილ აპლიკაციის სახელია-**Tbilisi Parking**

მომხმარებლის რეგისტრაცია

სისტემაში შესასვლელად საჭიროა რეგისტრაციის გავლა.
რეგისტრაციისთვის აუცილებელი ველები.

- მომხმარებლის სახელი;
- მობილურის ნომერი;
- პაროლი უნდა შეიცავდეს მინიმუმ 6 სიმბოლოს;
- გაიმეორეთ პაროლი.




რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, მომხმარებელი მიიღებს sms შეტყობინებას „თქვენს მობილურ ტელეფონზე გამოგზავნილია ვერიფიკაციის კოდი“, კოდის შეყვანის შემდეგ შეიქმნება მომხმარებლის პროფილი მაგ. **TP-123456789** ფორმატით (**TP** არის ფიქსირებული სიმბოლო და 9 ციფრი);

მომხმარებლის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, საჭიროა ავტორიზაციის გავლა:


- მომხმარებლის სახელი;
- პაროლი.

აღნიშნული ველების ქვემოთ არის მოსანიშნი ველი „დამახსოვრება“. არასავალდებულო, მოსანიშნი ველი. მისი გააქტიურებისას სისტემა დაიმახსოვრებს მომხმარებლის სახელს და მომდევნო ჯერზე ავტორიზაციის ფორმის გახსნისას დახვდება დამახსოვრებული.



პაროლის დავიწყების შემთხვევაში შესაძლებელია **პაროლის აღდგენა**.

„პაროლის აღდგენა“ - ეთითება მომხმარებლის სახელი, ახალი პაროლი და ვერიფიკაციის კოდი (რომელიც გამოიგზავნება მობილურ ტელეფონზე).



პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მიიღებთ შეტყობინებას „წარმატებით შეიცვალა პაროლი“.



მთავარი მენიუ

- ბალანსის შევსება;
- ავტომობილის დამატება;
- პარკირების ისტორია;
- ბიზნეს პარკინგი;
- პარამეტრები;
- გამოსვლა.



ზონალური-სათობრივი პარკირების რუკა



ზონალური პარკირების რუკა გვამძღვრს ინფორმაციას, რუკაზე არსებული პარკირების ადგილების შესახებ.



ბალანსის შევსება

ბალანსის შესავსებად მომხმარებელი უთითებს თანხას და აჭერს ღილაკს „ბარათით გადახდა“. ამის შემდეგ მომხმარებელი გადამისამართდება ბანკის სისტემაში, სადაც უნდა მიუთითოს:

ბარათის ნომერი - ბარათის წინა მხარეს დატანილი 16 ნიშნა ნომერი.
მოქმედების ვადა - ბარათის წინა მხარეს დატანილი თარიღი: თვე და წელი.
CVC2 / CVV2 – ბარათის უკანა მხარეს დატანილი რიცხვის ბოლო სამი ციფრი.
და ბოლოს ღილაკი გადახდა.



წარმატებული ტრანზაქციის შემთხვევაში გამოჩნდება შეტყობინება „ბალანსი შევსებულია“.

ავტომობილის დამატება


პარკირების აპლიკაციით სარგებლობისთვის, პირველ რიგში საჭიროა ავტომობილის დამატება.

ავტომობილის დასამატებლად

ველში „ავტომობილის ნომერი“ უნდა ჩაიწეროს ავტომობილის სახელმწიფო ნომერი,

ველში „სახელის დარქმევა“, ავტომანქანის მოდელი ან რაიმე სხვა ტექსტი. ეს ველი არის არასავალდებულო ველი.

შესაძლებელია რამდენიმე მანქანის წინასწარ დამატება, კორექტირება და წაშლა.






პარკირების დაწყება

მომხმარებელს დღე-ღამის განმავლობაში შეუძლია ისარგებლოს 4-ჯერ უფასო 15 წუთით სატრანსპორტო საშუალების პარკირებისას.

ბიზნეს პროცესის აღწერა:

- ◆ პარკირების დასაწყებად საჭიროა ავტორიზაციის გავლა;
 - ◆ დამატებული მანქანებიდან ავტომანქანის შერჩევა;
 - ◆ პარკირების ზონის A,B ან C შერჩევა და პარკირების ნომერის შეტანა;
 - ◆ ღილაკი „შემდეგი“ იძლევა ინფორმაციის პარკირების ფასების შესახებ, მიმდინარე პერიოდსთვის;
 - ◆ ღილაკი „პარკირების დაწყება“ გააქტიურდება დამატებითი გვერდი, სადაც საჭიროა სასურველი პირობის შერჩევა;
 - უფასო 15 წუთი;
 - უფასო 15 წუთი+ფასიანი დრო;
 - მხოლოდ ფასიანი დრო.
- ღილაკი „პარკირების დაწყების“ გააქტიურების შემდეგ ჩაირთვება ტაიმერი და გაჩნდება ღილაკი „პარკირების დასრულება“.
- თუ „პარკირების დაწყების“ ღილაკი გააქტიურებულია ავტომანქანის წაშლა ან/და კორექტირება ვერ მოხერხდება.
- თუ „პარკირების დაწყების“ ღილაკი გააქტიურებულია ვებ აპლიკაციიდან და ავტომანქანაზე დაწყებულია დროის ათვლა, მაშინ იგი დასტარტული იქნება ასევე მობაილ აპლიკაციაში და პირიქით.
- უფასო 15 წუთის გამოყენების შემთხვევაში, დროის ამოწურვამდე 2-3 წუთით ადრე, მძღოლი მობილურ ტელეფონზე მიიღებს შეტყობინებას „უფასო 15 წუთიანი დროის გამოყენების ვადა იწურება“.
- პარალელურად თანხის ჩამოჭრისას გადამოწმდება არსებული ბალანსის რაოდენობა, თუ დარჩენილია შერჩეულ ზონის ღირებულებაზე ნაკლები თანხა გაიგზავნება შეტყობინება „თქვენი ბალანსი იწურება“
- თუ ტელეფონი წყვეტს კავშირს და „პარკირების დაწყება“ გააქტიურებულია მომხმარებლის ანგარიშიდან თანხა მაინც ჩამოიჭრება, მანამ სანამ არ მოხდება პარკირების დასრულება.
- თუ „პარკირების დასრულება“-ს არ გამოიყენებთ თანხა ჩამოიჭრება მანამ, სანამ პარკირება იქნება დასტარტული ან/და ბალანსი არ ამოიწურება.

- იმისათვის, რომ მომხმარებელმა გარკვეოს რამდენჯერ ისარგებლა უფასო 15 წუთით 24 საათის განმავლობაში, ეკრანის ზედა კუთხეში მოთავსებულია 15 წუთიანი უფასო პარკირების ოდენობის მანიშნებელი ნიშანი.
- ასევე ეკრანის ზედა კუთხეში მოთავსებულია არსებული ბალანსის რაოდენობა.
- ყოველი უფასო 15 წუთის გამოყენების შემდეგ, დარჩება შესაბამისი რაოდენობის ნიშანი.



პარკირების დასრულება

პარკირების პროცესის შეწყვეტა ხდება ლილაკი „პარკირების დასრულებით“.
თანხის დაანგარიშება ხდება პარკირების ლოტისა და დროის მიხედვით.
ლილაკი „დასრულების“ - გააქტიურების შემდეგ დაფორმირდება გადახდის ინფორმაცია,
რომელიც აისახება გადახდების ისტორიაში.

გადახდის ინფორმაციაზე ასახულია:

- ავტომობილის სარეგისტრაციო ნომერი;
- პარკირების დაწყების დრო;
- პარკირების დასრულების დრო;
- პარკირების ლოტის ნომერი;
- პარკინგზე დგომის ხანგრძლივობა;
- გადახდილი თანხა.

გადახდების ისტორია

გადახდების ისტორია - გადახდის ინფორმაცია იძებნება ავტომანქანის ნომრის მითითებით.
გადახდის სრული ინფორმაციის სანახავად დააკლიკეთ გადახდის ბარათზე.



უფასო პარკირება საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ვებ აპლიკაციაში

ფიზიკური პირი, რომელიც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკუთრებაში ფლობს უძრავ ქონებას, უფლება აქვს ამ უძრავი ქონების საკადასტრო ერთეულის 100 მეტრის რადიუსში არსებულ ზონალური პარკირების ადგილზე ისარგებლოს უფასო პარკირებით, მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე.

იმისათვის, რომ უძრავი ქონების მესაკუთრემ ისარგებლოს ვებ აპლიკაციით უნდა გაიაროს რეგისტრაცია tp.ge საიტზე.

უძრავი ქონების მესაკუთრეს ID ბარათით ვერიფიკაციის შემდეგ გამოუჩნდება მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო ერთეულები.

მოქალაქე უფლებამოსილია, სატრანსპორტო საშუალება ჩაანაცვლოს სხვა სატრანსპორტო საშუალებით, სატრანსპორტო საშუალების განსაზღვრიდან ერთი თვის შემდეგ.

მას შემდეგ რაც, ვებ აპლიკაციის საშუალებით უძრავი ქონების მესაკუთრე საკადასტრო კოდზე დაამატებს ავტომანქანას, შემდეგ ეს ინფორმაცია გამოჩნდება მობაილ აპლიკაციაში, როგორცაა:

- საკადასტრო კოდი;
- მისამართი;
- უფასო პარკირების ნომრები;
- დამატებული მანქანები.

რუკაზე კი გამოჩნდება კონკრეტული უძრავი ქონების მიმდებარედ 100 მეტრის რადიუსში არსებული საპარკინგე ადგილები, რაც საშუალებას აძლევს მოქალაქეს მარტივად მიაგნოს სასურველ საპარკინგე ადგილს.

